საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მერია

ქ. წალენჯიხა 23 / ივლისი / 2019 წ.

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.#5. ტელ: 571 17–00–17 599 85-72-20
5200 K.Salia st. #5. Tsalenjikha,Georgia Tel: 571 17–00–17 599 85-72-20
www. tsalenjikha.gov.ge E-mail. tsalenjikhameria@tsalenjikha.gov.ge

KA000089603345519

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება № 2-1/348

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი და უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანაონის „ადგილობრივი თვთმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 2019 წლის 22 ივლისის სხდომის N7 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წალენჯიხა ვ, შანავას ქუჩაზე მდებარე შენობა - ნაგებობაზე. (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 47.11.39.237)

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 1100 ლარით

ბ) „ბე“ -ს საფასური განისაზღვროს 150ლარით

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით

1.1 ელექტრონულ აუქციონის პირობად განისზღვროს გასხვისებული შენობა ნაგებობის დემონტაჟი 2 თვის ვადაში გასხვისების მომენტიდან.

2.გამოცხადდეს პირობებიან ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეზე ს/კ 47.02.35.216

ა)საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 1650 ლარით

ბ) „ბე“ - ს საფასური განისაზღვროს 200 ლარით

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს 100 ლარით.

2.1 ელექტრონულ აუქციონის პირობად განისზღვროს 2 წლის განმავლობაში თანამედროვე ობიექტის მშენებლობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით

3. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 200 კვ,მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ 47.02.40.036

ა) საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისზღვროს 3000 ლარით.

ბ) „ბე'' -ს საფასური განისაზღვროს 300 ლარით

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს 150 ლარით.

4. განისაზღვროს საპრივატიზებო ქონების ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2019 წლის 25 ივლისის 17:00 საათიდან 2019 წლის 9 აგვისტოს 17 საათამდე.